საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3144
05/07/2022

3144-21-2-202207051537

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2154 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. შრომაში, მდ. შრომისხევის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები;

- დოკუმენტში მოცემული არ არის სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო უბნის საერთო სიგრძეა 7780 მეტრი, თუმცა ნახაზზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იგეგმება 600 მ სიგრძის მონაკვეთის გაწმენდა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მდინარის კალაპოტიდან ამოღებული მასალა განთავსდება მდინარის ნაპირის ორივე მხარეს, თუმცა, განივ კვეთებზე ნაყარი დამბა მოცემულია მხოლოდ ერთ მხარეს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში წარმოდგენილი „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ „ჭალის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე უნდა მოეწყოს დამბა (5 მეტრი სიმაღლის)“, თუმცა, სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისში აღნიშნულია, რომ „მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე მოეწყობა ნაყარი ბერმა“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;
- „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ „ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნება ნარჩენები“, თუმცა, ამავე თავში აღნიშნულია, რომ სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერებში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების პროცესში ნიადაგზე და მცენარეულ საფარზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო